ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №551635

ნომერი: AR1106274

თარიღი : 30.01.2013

გაცემის თარიღი : 18.02.2013

გაცნობის თარიღი : 21.02.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კაირო , N 42 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თინათინ მამულაშვილი პ/ნ 01018000166
- შანიძის 35

ორგანიზაცია:

- შპს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა კოდი: 204931164

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ-არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 14 სექტემბრის #01/2746 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ-არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 30 იანვარს #AR1106274 განცხადებით მომართა მოქ. თინათინ მამულაშვილმა და მოითხოვა არქიტექტურულ პროექტის შეთანხმების შესახებ 2011 წლის 14 სექტემბრის #01/2746 ბრძანებაში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების ნაწილში, ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ–არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 14 სექტემბრის #01/2746 ბრძანებით ქ. თბილისში, კაიროს ქ. #42-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა სასაწყობე შენობა–ნაგებობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი გაიცა მშენებლოს ნებართვა. განმცხადებელი მიუთითებს, რომ საერთო ფართში შემავალი ფართების დაჯამების დროს დაშვებული იქნა ტექნიკური შეცდომა, რამაც გამოიწვია ცდომილება საერთო ფართის მითითების დროს. სამსახურმა გადაამოწმა შეთახმებული არქიტექტურული პროექტი და დაადგინა, რომ ტექნიკური შეცდომა იქნა დაშვებული სხვადასხვა სართულზე არსებული ფართების დაჯამების დროს, რამაც გამოიწვია ცდომილება საერთო ფართში. შეთანხმებული აქტის მიხედით საერთო ფართი 942.99 კვ.მ.-ს ნაცვლად შეადგენს 932.10 კვ.მ.-ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის ნიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები, შეიტანოს ცვლილება და დამატება.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით და ვინაიდან საერთო ფართში შემავალი ფართების მითითების დროს დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომა, რამაც გამოიწვია ცდომილება საერთო ფართის დაფიქსირების დროს, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ–არქიტექტურის სამსახურის 14.09.2011 წ. #01/2746 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში შემავალი საერთო ფართი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

- საერთო ფართი-942.99 კვ.მ.;

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ–არქიტექტურის სამსახურის 14.09.2011 წ. #01/2746 და ამავე სამსახურის 21.04.2012 წ. #124377 ბრძანებებთან ერთად;

3. აღნიშნულის თაობაზე ეცნობოს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. შარტავას ქ. N7) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.